

პრესრელიზი

„ჯი-აი-ჯი“-მ უხუცეს ქალბატონებს დედის დღე მიულოცა

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ტრადიციას აგრძელებს და უხუცეს ქალბატონებს დედის და ქალთა საერთაშორისო დღეს ულოცავს „კომპანია“ სათნოების სახლ "კათარზისის" ქალბატონებსა და 310 ბენეფიციარს სადილით გაუმასპინძლდა. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ წლებია რაც კათარზისთან მეგობრობს და როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია ცდილობს მაქსიმალურად ხშირად ესტუმროს ბენეფიციარებს და უმასპინძლოს.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას.

